

## თარიღი

### ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

განვადების ბართის საკრედიტო ლიმიტის საპროცენტო განაკვეთები:

- წლიური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_\_ %
- ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_\_ %

#### ფინანსური ხარჯები:

- მინიმალური გადასახადი: ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და მასზე დარიცხული პროცენტის ჯამის 1/12 ნაწილი ყოველთვიურად. ამასთან, თუ რამდენჯერმე არის ათვისებული საკრედიტო ლიმიტი, ყოველთვიური გადასახადი დაითვლება თითოეული მათგანის ჭრილში და მათი ჯამი გადასახდელი იქნება გადახდის დღეს.

#### დამატებითი სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- საკრედიტო ლიმიტის მოცულობა: \_\_\_\_\_ ლარი
- საკრედიტო ლიმიტის დაშვების თარიღი: \_\_\_\_\_
- დამთავრების თარიღი: \_\_\_\_\_
- ყოველთვიური გადახდის თარიღი: \_\_\_\_\_ რიცხვი
- წინსწრებით დაფარვის საკომისიო: -----%
- კლიენტს უფლება აქვს საკრედიტო ლიმიტის დაშვებიდან 24 თვის განმავლობაში პერიოდულად აითვისოს გაუხარჯავი ლიმიტი, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ახორციელებს მხოლოდ ათვისებული ლიმიტის და დარიცხული პროცენტის დაფარვას.
- პირგასამტებლო: ერთჯერადად \_\_\_\_\_ ლარი და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული დავალიანების \_\_\_\_\_ %, ამასთან, თუ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის დროს დაშვებულ და გახარჯულ საკრედიტო ლიმიტებს შორის წარმოიშვა სხვაობა, აღნიშნულ სხვაობას, წარმოშობიდან ყოველ დღეზე დაერიცხება პირგასამტებლო \_\_\_\_\_ %-ის ოდენობით. ამასთან, ყოველდღიურად დარიცხული პირგასამტებლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გახარჯული ლიმიტის 0.27%-ს, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტებლო.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის ან/და ბარათით მომსახურების ტარიფების განაკვეთები ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები. ბანკი ცვლილებების შესახებ შეტყობინებას კლიენტს უგზავნის წერილობით, ან ელ. ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახით, ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე.

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები კლიენტმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად ან წერილობით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: [info@vtb.ge](mailto:info@vtb.ge)

# ხელშეკრულება განვადების ლიმიტით სარგებლობის შესახებ

თბილისი  
თარიღი

ერთი მხრივ სს "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია" (სათაო ოფისი)[შემდგომ "ბანკი"], წარმოდგენილი  
სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე და მეორე მხრივ  
[პირადი ნომერი: \_\_\_\_\_] [შემდგომ "კლიენტი"], ვდებთ წინამდებარე  
ხელშეკრულებას შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს „განვადების ლიმიტით სარგებლობის მირითადი პირობები“, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე vtb.ge, განყოფილებაში - „ხელშეკრულებები“. აღნიშნული პირობები განსაზღვრავს ტერმინებს, განვადების ლიმიტით სარგებლობის შეზყვეტის პირობებს და მხარეთა შორის კომუნიკაციის წესს და შესასრულებლად სავალდებულო სხვა უფლება - მოვალეობებს. ხოლო ბარათით მომსახურების ტარიფები განთავსებულია <http://ge.vtb.ge/personal/loans/fast/436689/>

## 1. ძირითადი პირობები

### 1.1. საკრედიტო ლიმიტის ოდენობა და ვადა:

1.1.1. საკრედიტო ლიმიტის მოცულობა: \_\_\_\_\_ ლარი

1.1.2. საკრედიტო ლიმიტის დაშვების თარიღი: \_\_\_\_\_

1.1.3. საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადის დამთავრების თარიღი: \_\_\_\_\_

### 1.2. საკრედიტო ლიმიტის საპროცენტო განაკვეთი

1.2.1. ათვისებულ საკრედიტო ლიმიტს დაერიცხება წლიური \_\_\_\_\_ %

1.2.2. ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი: \_\_\_\_\_ %

1.2.3. საპროცენტო სარგებელი ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით და რომლის თანხობრივი ოდენობა არის უცვლელი, ანგარიშდება ათვისებული ლიმიტის საერთო ოდენობიდან და გარემოება, რომ საპროცენტო სარგებელთან ერთად პერიოდულად [ყოველთვიურად] იფარება/მცირდება ათვისებული საკრედიტო ლიმიტის ნაწილიც, გავლენას არ ახდენს საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურ თანხობრივ ოდენობაზე.

### 1.3. საკრედიტო ლიმიტის დაფარვა:

1.3.1. საკრედიტო ლიმიტის ყოველთვიური გადახდის თარიღი: \_\_\_\_\_ რიცხვი

1.3.2. ყოველთვიური მინიმალური გადასახადი: კლიენტის მიერ ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და მასზე დარიცხული პროცენტის ჯამის 1/12 ნაწილი ყოველთვიურად. ამასთან, თუ რამდენჯერმე არის ათვისებული საკრედიტო ლიმიტი, ყოველთვიური გადასახადი დაითვლება თითოეული მათგანის ჭრილში და მათი ჯამი გადასახდელი იქნება გადახდის დღეს.

1.3.3. გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში განხორციელებულად ჩაითვლება, თუ შესაბამისი თანხები კლიენტის მიერ გადახდილი იქნება გადახდის დღის 22:00 საათამდე (თბილისის დროით).

1.3.4. ყოველთვიური გადასახადის ყოველთვიურად დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება პირგასამტებლოს გადახდა: ერთჯერადი \_\_\_\_\_ ლარი და ასევე ვადაგადაცილებული თანხის \_\_\_\_\_ % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. თუ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის დროს დაშვებულ და გახარჯულ საკრედიტო ლიმიტებს შორის წარმოიშვა სხვაობა, აღნიშნულ სხვაობას, წარმომობიდან ყოველ დღეზე დაერიცხება პირგასამტებლო \_\_\_\_\_ %-ს ოდენობით. ამასთან, ყოველდღიურად დარიცხული პირგასამტებლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გახარჯული ლიმიტის 0.27%-ს, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტებლო.

1.3.5. კლიენტისათვის ცნობილია და ცალსახად ეთანხმება, რომ ყოველთვიური გადასახადის გადახდა ხდება შესაბამისი თანხების კლიენტის მიმდინარე ან საბარათე ანგარიშზე [არ

იგულისხმება ის საბარათე ანგარიში რომელზედაც დაშვებულია საკრედიტო ლიმიტი, აღნიშნულ საბარათე ანგარიშზე თანხის შეტანა არა ხდება] განთავსების გზით, საიდანაც მოხდება ბანკის მიერ ყოველთვიური გადასახადის ჩამოჭრა.

1.3.6. ყოველთვიური გადასახადის გადახდისას, თანხის იმ ნაწილით, რომლითაც დაიფარა საკრედიტო ლიმიტი, გაიზრდება საკრედიტო ლიმიტის აუთვისებელი ნაწილის ოდენობა.

#### 1.4. საკრედიტო ლიმიტის ათვისება:

- 1.4.1. საკრედიტო ლიმიტის საფუძველზე სავაჭრო ობიექტისგან მომსახურების ან პროდუქციის შეძენისას ჩაითვლება, რომ კლიენტმა აითვისა საკრედიტო ლიმიტი და ათვისებული ლიმიტს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი.
- 1.4.2. კლიენტს უფლება აქვს საკრედიტო ლიმიტის დაშვებიდან 24 თვის განმავლობაში პერიოდულად აითვისოს გაუხარჯავი ლიმიტი, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ახორციელებს მხოლოდ ათვისებული ლიმიტის და დარიცხული პროცენტის დაფარვას.
- 1.4.3. საკრედიტო ლიმიტის ათვისებისთანავე კლიენტს წარმოეშობა ვალდებულება დაფაროს ყოველთვიური გადასახადი გადახდის თარიღისთვის.
- 1.4.4. საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში კლიენტს საშუალება აქვს სავაჭრო ობიექტებში პოსტერმინალების საშუალებით განახორციელოს არამაკლებ 100 ლარის ღირებულების, პროდუქციის/მომსახურების ფასის გადახდა, ხოლო შეძენისათვის გახარჯული [ათვისებული] თანხა და დარიცხული პროცენტი ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიური გადახდების სახით.
- 1.4.5. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბარათზე არსებული ლიმიტის გახარჯვას შეძლებს მხოლოდ სავაჭრო ობიექტებში განთავსებულ პოსტერმინალებში გადახდების განხორციელების გზით, თუ შესაძენი/შეძენილი პროდუქციის/მომსახურების ღირებულება არ არის 100 ლარზე ნაკლები.
- 1.4.6. წინამდებარე პირობების 1.4.5 პუნქტში მითითებულის გარდა სხვა ყველა ოპერაცია ბარათზე შეზღუდულია, რაც გულისხმობს, რომ კლიენტს საშუალება არ ექნება ბარათის ან მისი რეკვიზიტების/შესაბამისი საბარათე ანგარიშის გამოყენებით:
  - 1.4.6.1. შეიტანოს ან ჩარიცხოს თანხა საბარათე ანგარიშზე.
  - 1.4.6.2. ნაღდი სახით მიიღოს თანხა.
  - 1.4.6.3. განახორციელოს საბანკო ანგარიშიდან თანხების განკარგვა საგადახდო დავალების მეშვეობით.
  - 1.4.6.4. განახორციელოს კონვერტაციის ოპერაციები.
  - 1.4.6.5. შეასრულოს ნებისმიერი სახის ტრანზაქცია ინტერნეტის საშუალებით ან/და ლოკალური/საერთაშორისო საგადახდო სისტემის მეშვეობით.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 2.1. გადახდის თარიღისათვის ყოველთვიური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის ბლოკირება. კლიენტს ეკისრება ბარათის ბლოკირების საკომისიო [ასეთი არსებობის შემთხვევაში]. ბარათის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად დაფარვისთანავე.
- 2.2. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის ან/და ბარათით მომსახურების ტარიფების განაკვეთები ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები ბანკი ცვლილებების შესახებ შეტყობინებას კლიენტს უგზავნის წერილობით, ან ელ. ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახით, ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე.
- 2.3. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები კლიენტმა შეიძლება წარადგინოს პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯაფუში, წერილობითი ან ელექტრონული ფოსტის [info@vtb.ge.] მეშვეობით, თავსართში მითითებული გზით. პრეტენზიაზე პასუხი გაცემული იქნება პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. პრეტენზიების განხილვის პროცედურა შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: [www.vtb.ge](http://www.vtb.ge)
- 2.4. მხარეთა სხვა უფლებამოვალეობები განსაზღვრულია „განვადების ლიმიტით სარგებლობის ძირითადი პირობებით“, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე [vtb.ge](http://vtb.ge), განყოფილებაში - „ხელშეკრულებები“.

### **3. ინფორმაციის მიღება/გადაცემასთან დაკავშირებული მხარეთა უფლება - მოვალეობები**

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კლიენტთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს.
- 3.2. ბანკი უფლებამოსილია გადასცეს კლიენტთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს, ბანკის მიერ კლიენტის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.
- 3.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.
- 3.4. კლიენტი თანხმობას აცხადებს, რომ ბანკმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით კლიენტის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.
- 3.5. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის სასესხო/გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს კლიენტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ამ უკანასკნელის გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

### **4. დასკვნითი დებულებები**

- 4.1. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N 205 267 389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.
- 4.2. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო

მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება  
ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].

## 5. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი	კლიენტი
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" ს/ნ 202906427 სათაო ოფისი სახელი, გვარი info@vtb.ge ტელ: (995 32) 2242424	სახელი, გვარი პ/ნ: _____ მის: _____ ტელ: _____

DRAFT